# სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში

საანგარიშო პერიოდი – 2012, თებერვალი

## შინაარსი


**თავი II. პროკურატურის სტატისტიკა** ..... 3

ნაწილი 4 - სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლები სსკ-ის მუხლების მიხედვით ..... 3

4.1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლები ..... 3

4.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ..... 8

4.3 სასამართლოში წარმართვა ..... 10

ნაწილი 5 - სტატისტიკური ინფორმაცია საპროცესო მოქმედებების მიხედვით ..... 15

5.1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ..... 15

5.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ..... 16

5.3 სასამართლოში წარმართვა ..... 16

ნაწილი 6 - არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები ..... 18

6.1 არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები ..... 18

6.2 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არასრულწლოვანთა მიმართ ..... 19

6.3 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა არასრულწლოვანთა მიმართ ..... 20

6.4 არასრულწლოვანთა მიმართ საქმის სასამართლოში წარმართვა ..... 20

**თავი III. სასამართლო სტატისტიკა** ..... 23

ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები..... 23

7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები ..... 23

ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები ..... 25

8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა ..... 25

8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები ..... 26

8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები ..... 26

ნაწილი 9 - მსჯავრდებულები ..... 26

9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით ..... 26

9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა ..... 27

9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ..... 30

ნაწილი 10 - დანაშაული და შეფარდებული სასჯელები ..... 31

10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით ..... 31

10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით ..... 36

**თავი IV. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სტატისტიკა** ..... 39

ნაწილი 11 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი..... 39

11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში..... 39

11.2 ბრალდებულები ..... 40

11.3 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები ..... 41

11.4 მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით ..... 42

11.5 მსჯავრდებულთა რაოდენობა დაწესებულების ტიპის მიხედვით ..... 43

11.6 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით..... 43

11.7 უცხოელი ბრალდებულები და მსჯავრდებულები ..... 45

11.8 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის (თ/ა) დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა ..... 45

11.9 რესოციალიზაცია ..... 46

11.10 დისციპლინური ღონისძიებები ..... 47

11.11 სასჯელაღსრულების სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანილ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა ..... 48

11.12 კრიმინოგენული მდგომარეობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის (თ/ა) დაწესებულებებში ..... 48

11.13 სამედიცინო მდგომარეობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის (თ/ა) დაწესებულებებში ..... 50

ნაწილი 12 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო ..... 57

12.1 პრობაციონერთა რაოდენობა ..... 57

12.2 პრობაციონერთა რაოდენობის მატება..... 62

12.3 დასრულებული საქმეები ..... 64

12.4 საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში ..... 65

12.5 პრობაციონერთა რესოციალიზაცია ..... 66

# თავი II. პროკურატურის სტატისტიკა[1]

*ნაწილი IV - სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლები სსკ-ის მუხლების მიხედვით*

## 4.1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი

2012 წლის თებერვალში საქართველოში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა კატეგორიებზე დანაშაულთა ფაქტების რაოდენობის მიხედვით შემდეგნაირია: განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 209 შემთხვევაში, მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 461, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე 895 შემთხვევაში.

**სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით (2012 წლის თებერვალი)**




საანგარიშო პერიოდში დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა ჯგუფებიდან ყველაზე მაღალი იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (596), შემდეგ ნარკოდანაშაულებზე (334) და საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (166) (იხ, დანართი ცხრილი #5).

[1] ანგარიშის ეს ნაწილი მომზადებულია მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს მიერ.

**დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით**
**(2012 წლის თებერვალი)**




2012 წლის თებერვალში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულთა სხვა ჯგუფებში არ დაფიქსირებულა.

დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირია:

**სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან** განზრახ მკვლელობის დანაშაულზე დევნა დაიწყო 16 შემთხვევაში, ხოლო დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის დანაშაულზე - 3 შემთხვევაში.

**დევნის დაწყების მაჩვენებელი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე**
**(2012 წლის თებერვალი)**




**ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან** ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებაზე დევნა დაიწყო 5 შემთხვევაში, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაზე ასევე 5 შემთხვევაში.

**დევნის დაწყების მაჩვენებელი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე**
**(2012 წლის თებერვალი)**




**სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან** გაუპატიურების მუხლით ჩადენილ დანაშაულზე დევნა დაიწყო 3 ფაქტზე.

**ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან** თავისუფლების უკანონო აღკვეთის დანაშაულზე დევნა დაიწყო 5 შემთხვევაში.

**საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან** დევნის დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო ქურდობის (349) და თაღლითობის (132) დანაშაულებზე:

**დევნის დაწყების მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე**
**(2012 წლის თებერვალი)**




**საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე** დევნის დაწყების მაჩვენებლები შემდეგნაირია: ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების დანაშაულზე დევნა დაიწყო 97 ფაქტზე, ხულიგნობის დანაშაულზე - 37, ხოლო 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარების დანაშაულზე დევნა დაიწყო 31 შემთხვევაში.

**დევნის დაწყების მაჩვენებელი საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე**
**(2012 წლის თებერვალი)**




**ნარკოტიკული დანაშაულებიდან** დევნის დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო ისეთ დანაშაულებზე, როგორიცაა: პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება (160) და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (160).

**დევნის დაწყების მაჩვენებელი ნარკოტიკულ დანაშაულებზე**
**(2012 წლის თებერვალი)**




**სატრანსპორტო დანაშაულებიდან** ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების, ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 116 შემთხვევაში.

**სამოხელეო დანაშაულებზე** დევნის დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების დანაშაულზე:

**დევნის დაწყების მაჩვენებელი სამოხელეო დანაშაულებზე**
**(2012 წლის თებერვალი)**




**მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან** ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის, ან ბლანკის დამზადება, გასაღება, ან გამოყენების დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 53 შემთხვევაში.

## 4.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

საანგარიშო პერიოდში დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი შემდეგნაირია: სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის 3 ფაქტზე, მძიმე კატეგორიის დანაშაულის 4 ფაქტზე, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის 28 ფაქტზე.

**სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით (2012 წლის თებერვალი)**




დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (იხ. დანართი ცხრილი #5).

**დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით (2012 წლის თებერვალი)**



სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებლები სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულთა სხვა ჯგუფებში არ დაფიქსირებულა.

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დანაშაულთა ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირია:

**საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან** დევნის შეწყვეტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ქურდობის დანაშაულზე:

**დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე**
**(2012 წლის თებერვალი)**




**საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან** დევნა შეწყდა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების დანაშაულის 4 ფაქტზე და ხულიგნობის 1 ფაქტზე.

**დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის**
**წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე**
**(2012 წლის თებერვალი)**




**ნარკოტიკული დანაშაულებიდან** სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღების დანაშაულზე (2 შემთხვევაში) და პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან

პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარების დანაშააულზე (2 შემთხვევაში).

**სატრანსპორტო დანაშაულებიდან** დევნა შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის 4 ფაქტზე.

**მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან** დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენების დანაშაულზე დაფიქსირდა 1 შემთხვევაში.

## 4.3 სასამართლოში წარმართვა

სასამართლოში საქმის წარმართვის მაჩვენებელი დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირია: განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე სასამართლოში საქმე წარიმართა 201 შემთხვევაში, მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 448 შემთხვევაში, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 829 შემთხვევაში.

**სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით (2012 წლის თებერვალი)**




დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით სასამართლოში საქმის წარმართვის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (576), შემდეგ ნარკოდანაშაულებზე (282). (იხ. დანართი, ცხრილი N5).

**სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით (2012 წლის თებერვალი)**




**სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან** სასამართლოში საქმე წარიმართა განზრახ მკვლელობის 24 ფაქტზე, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის 6 ფაქტზე, ხოლო სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულის - 1 ფაქტზე.

**სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე**
**(2012 წლის თებერვალი)**




**ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან** ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 8 ფაქტზე და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების 5 ფაქტზე:

**სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე**
**(2012 წლის თებერვალი)**




**სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან** გაუპატიურების დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 5 ფაქტზე.

**ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან** თავისუფლების უკანონო აღკვეთის დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 8 შემთხვევაში.

**საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებზე** სასამართლოში წარმართულ საქმეებში ყველაზე მაღალი იყო ქურდობის და თაღლითობის მაჩვენებლები:

**სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე**
**(2012 წლის თებერვალი)**




**საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებზე** სასამართლოში წარმართულ საქმეებში ყველაზე ხშირი იყო ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების ფაქტები:

**სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე**
**(2012 წლის თებერვალი)**




**ნარკოტიკული დანაშაულებიდან** სასამართლოში წარმართულ საქმეებში ყველაზე ხშირი იყო შემდეგი დანაშაულის ფაქტები: ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება (139 შემთხვევაში) და პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონოდ დამზადება, შეძენა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება (125 შემთხვევაში):

**სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი ნარკოტიკულ დანაშაულებზე**
**(2012 წლის თებერვალი)**




**სატრანსპორტო დანაშაულებიდან** ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების, ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 120 შემთხვევაში.

**სამოხელეო დანაშაულებზე** სასამართლოში საქმის წარმართვის მაჩვენებელი ცალკეულ მუხლებზე შემდეგნაირია:

**სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი სამოხელეო დანაშაულებზე**
**(2012 წლის თებერვალი)**




**მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან** ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის, ან ბლანკის დამზადება, გასაღება, გამოყენების დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 48 ფაქტზე.

## 5.1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება

2012 წლის თებერვალში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1335 პირის მიმართ. აქედან 11,7%-მა (156 პირი) დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე (იხ. დანართი ცხრილი №6).

2012 წლის თებერვლის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლები რეგიონებისა და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტების მიხედვით ამგვარია:




2012 წლის თებერვალში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ***თბილისში (600 პირი)*** და შეადგინა სულ დევნის დაწყების 44,9%, ხოლო ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი აღინიშნა ***სამცხე-ჯავახეთში (36 პირი)*** და შეადგინა სულ დაწყებული დევნის 2,7% (იხ. დანართი ცხრილი №7;8) .

## 5.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

2012 წლის თებერვლის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 51 პირის მიმართ. (იხ. დანართი ცხრილი №6).

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ***დასავლეთ საქართველოში (11 პირი)*** და შეადგინა სულ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის 21,6% (იხ. დანართი ცხრილი №7;8).




## 5.3 სასამართლოში წარმართვა

2012 წლის იანვარში სულ სასამართლოში წარიმართა 1015 საქმე 1246 პირის მიმართ. აქედან არსებითად განსახილველად წარიმართა 448 საქმე (44,1% სულ სასამართლოში წარმართულ საქმეებში) 609 პირის მიმართ (48,9% სულ პირთა რაოდენობაში, რომელთა მიმართაც საქმე სასამართლოში წარიმართა), ხოლო საპროცესო შეთანხმებით - 567 საქმე (55,9% სულ სასამართლოში წარმართულ საქმეებში) 637 პირის მიმართ (51,1% სულ პირთა რაოდენობაში, რომელთა მიმართაც საქმე სასამართლოში წარიმართა) (იხ. დანართი ცხრილი №6).

**პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც საქმე სასამართლოში წარიმართა (2012 წლის თებერვალი)**




2012 წლის თებერვალში არსებითად განსახილველად  და საპროცესო შეთანხმებით წარმართული საქმეების პროცენტული თანაფარდობა რეგიონების მიხედვით ამგვარია:

**პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც საქმე სასამართლოში წარიმართა (2012 წლის თებერვალი)**



ამრიგად, 2012 წლის თებერვალში პირთა რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, რომელთა მიმართაც საქმე სასამართლოში წარიმართა დაფიქსირდა ***თბილისში (511 პირი),*** ხოლო დაბალი მაჩვენებელი - ***სამცხე-ჯავახეთში (35 პირი).***

იმ პირთა რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა მიმართაც საქმე სასამართლოში წარიმართა საპროცესო შეთანხმებით, ყველაზე მაღალი იყო ***თბილისში*** (67,9%), ხოლო დაბალი მაჩვენებელი ***მთავარი პროკურატურის დეპარტამენტში*** (24,2%) (იხ. დანართი ცხრილი №7; 8).

## *ნაწილი VI - არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები.*

### 6.1 არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები

2012 წლის თებერვალში დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანი ფიგურირებდა 72 შემთხვევაში, აქედან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე მოდის 2% (1 დანაშაულის ფაქტი), მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 47% (34 დანაშაულის ფაქტი), ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 51% (37 დანაშაულის ფაქტი).

**არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით (2012 წლის თებერვალი)**




საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან ყველაზე ხშირი იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (55 დანაშაული, რაც არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საერთო რაოდენობის 76,4%-ია), (იხ. დანართი ცხრილი #5).

**არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით (2012 წლის თებერვალი)**




## 6.2 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არასრულწლოვანთა მიმართ

2012 წლის თებერვალში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 45 არასრულწლოვანის მიმართ. პირთა რაოდენობა, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს გამოსაცდელი ვადის გასვლამდე არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი ცხრილი №6).

2012 წლის თებერვლის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ***თბილისში*** (21 პირი) და შეადგინა 46,7% სულ დევნის დაწყებაში (იხ. დანართი ცხრილი №7; 8).




2012 წლის თებერვალში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა სამცხე-ჯავახეთის რეგიონსა და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტებში.

## 6.3 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა არასრულწლოვანთა მიმართ

2012 წლის თებერვალში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 2 არასრულწლოვანის მიმართ. შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა მხოლოდ ***ქვემო ქართლის რეგიონში*** (იხ. დანართი ცხრილი №6; 7; 8).

## 6.4 არასრულწლოვანთა მიმართ საქმის სასამართლოში წარმართვა

2012 წლის თებერვალში სულ საქმე სასამართლოში წარიმართა 56 არასრულწლოვნის მიმართ. აქედან არსებითად განსახილველად 25 პირის მიმართ (44,6%), ხოლო საპროცესო შეთანხმებით - 31 პირის მიმართ (55,4%).

**არასრულწლოვან პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც საქმე სასამართლოში წარიმართა**
**(2012 წლის თებერვალი)**




2012 წლის თებერვალში სასამართლოში წარმართული საქმეები არასრულწლოვან პირთა მიმართ რეგიონების მიხედვით ასე გადანაწილდა:

**არასრულწლოვან პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც საქმე სასამართლოში წარიმართა**
**(2012 წლის თებერვალი)**




ამრიგად, არასრულწლოვან პირთა რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა მიმართაც საქმე სასამართლოში წარიმართა საპროცესო შეთანხმებით, მაღალი იყო ***ქვემო ქართლში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტებში (100%-100%).*** არასრულწლოვანთა მიმართ საქმე სასამართლოში არ წარმართულა ***სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მიერ.***

# თავი III. სასამართლო სტატისტიკა

## *ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები*

### 7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები

2012 წლის თებერვალში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია საგამოძიებო ორგანოებიდან აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებაზე შემოსული 1290 შუამდგომლობა. განხილული შუამდგომლობებიდან დაპატიმრების ხვედრითი წილი შეადგენს 34,4%-ს, გირაოს ხვედრითი წილი - 65,3%-ს, პირადი თავდებობის - 0,3%-ს (იხ. დანართი ცხრილი №9).

**განხილული შუამდგომლობები**




სულ განხილული შუამდგომლობიდან სასამართლოს მიერ *დაკმაყოფილებულ იქნა* 1041 შუამდგომლობა, ანუ 80,7%. მათ შორის: დაპატიმრების შეფარდებაზე განხილული შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 93,2%, გირაოს შეფარდებაზე დაკმაყოფილებულ იქნა 74,0%, პირადი თავდებობის შეფარდებაზე - 100,0%.

*დატოვებულია განუხილველად* საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გამო საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული 245 შუამდგომლობა, ანუ 19,0%.

*უარი ეთქვა* და შეეფარდა სხვა სახის აღკვეთი ღონისძიება 4 შუამდგომლობას, ანუ 0,3%-ს.

## შუამდგომლობების განხილვის შედეგები




2012 წლის თებერვალში სულ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებებიდან დაპატიმრებაზე მოდის 39,6% (414), გირაოზე - 60,0% (627), პირად თავდებობაზე - 0,4% (4).

## შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები




2012 წლის  თებერვალი პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 1045 აღკვეთის ღონისძიებიდან საპატიმრო იყო 414, ანუ 39,6%, ხოლო არასაპატიმრო - 631, ანუ 60,4%. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 99,4%.

## *ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები*

### 8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა

2012 წლის თებერვალში პირველი ინსტანციის სასამართლოებში  განხილულია 1062 საქმე 1289 პირის მიმართ, აქედან განაჩენის გამოტანით განხილულია 1055 საქმე, ანუ 99,3%,  შეწყდა 6 საქმე (0,6%), დაუბრუნდა პროკურატურას საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტად 1 საქმე, ანუ 0,1% (იხ. დანართი ცხრილი №10).

2012 წლის თებერვალში განაჩენის გამოტანით განხილული საქმეებიდან საპროცესო შეთანხმებით განხილული იყო 954 საქმე (სულ განხილული საქმეების 90,4%) 1163 პირის მიმართ (სულ განხილული პირების 90,9%), არსებითი განხილვით დამთავრდა 101 საქმე (შესაბამისად 9,6%)  116 პირის მიმართ (9,1%).

**პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითად და საპროცესო შეთანხმებით**

**განხილული საქმეების ხვედრითი წილი განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეებში**



### 8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები

2012 წლის თებერვალში პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითი განხილვით დამთავრებული 101 საქმიდან გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 90 საქმეზე, გამამართლებელი განაჩენი 11 საქმეზე (იხ. დანართი ცხრილი №11).

2012 წლის თებერვალში სულ არსებითი განხილვით მსჯავრდებული, გამართლებული და შეწყვეტილი 124 პირიდან  გამართლებული პირების ხვედრითი წილი შეადგენს 9,7%-ს, ხოლო იმ პირების ხვედრითი წილი, რომელთა მიმართ საქმე შეწყდა შეადგენს 6,5%-ს  (იხ. დანართი ცხრილი №12).

### 8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები

2012 წლის თებერვალში პირველი ინსტანციის სასამართლოებში  საპროცესო შეთანხმებით შემოსული იყო 576 სისხლის სამართლის საქმე 631 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით განაჩენი გამოტანილ იქნა 954 საქმეზე 1163 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით გამოტანილ განაჩენებში საბრალდებო დასკვნით შემოსული საქმეების ხვედრითი წილი შეადგენს 40,3% (იხ. დანართი ცხრილი №13).

## ნაწილი 9 - მსჯავრდებულები

### 9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით

2012 წლის თებერვალში სულ მსჯავრდებული 1266 პირიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 490 პირს, ანუ 38,7%-ს;

- პირობითი მსჯავრი შეეფარდა 636 პირს, ანუ 50,2%-ს;

- ჯარიმა შეეფარდა 70 პირს, ანუ 5,5%-ს;

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 70 პირის, ანუ 5,5%.

**მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით**




## 9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა

2012 წლის თებერვალში სულ მსჯავრდებული 1266 პირიდან მამაკაცი შეადგენდა 91,9%-ს, ხოლო ქალი 8,1%-ს.

ალკოჰოლურ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენდა 1,7%-ს, ნარკოტიკულ სიმთვრალეში კი 8,2%-ს; ჯგუფში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 6,7%-ს. სოფლად ჩადენილი დანაშაული შეადგენს 18,3%-ს. სულ მსჯავრდებული პირებიდან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე იყო 0,8% (იხ. დანართი ცხრილი №14).

ასაკის მიხედვით მსჯავრდებულები ნაწილდება შემდეგნაირად:

- 14-17 წლის ასაკის მსჯავრდებულია 48 პირი, რაც შეადგენს 3,8%-ს,

-18-24 წლის ასაკის - 238 პირი, ანუ 18,8%,

- 25-29 წლის ასაკის - 226 პირი, ანუ 17,9%,

- 30-49 წლის ასაკის - 566 პირი, ანუ 44,7%;

- 50 წლის ზევით ასაკის - 188 პირი, ანუ 14,8 %.

**მსჯავრდებულთა განაწილება ასაკის მიხედვით**




მსჯავრდებულთა შორის არასრული საშუალო განათლების მქონეა 67 პირი, ანუ 5,3%, საშუალო განათლების მქონეა 957 პირი, ანუ 75,6%, უმაღლესი განათლების მქონეა 240 პირი, ანუ 19,0%, განათლების გარეშე 2 პირი, ანუ 0,2%.

**მსჯავრდებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით**



1266 მსჯავრდებული პირიდან:

- უმუშევარია 998, ანუ 78,8%

- კომერციული ან სხვა ორგანიზაციის მოსამსახურეა 84, ანუ 6,6%

- სხვა მომუშავეა 75, ანუ 5,9%

- კერძო მეწარმეა 30, ანუ 2,4%

- მოსწავლე ან სტუდენტია 29, ანუ 2,3%

- საჯარო მოსამსახურეა 23, ანუ 1,8% და სხვა.

**მსჯავრდებულთა გადანაწილება საქმიანობის მიხედვით**

**(პროცენტობით)**




მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონეა მსჯავრდებულთა 4,3%.

## 9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

2012 წლის თებერვალში მსჯავრდებული იყო 48 არასრულწლოვანი, რაც შეადგენს თებერვლის თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ მსჯავრდებული პირების 3,8%-ს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებიდან ვაჟი იყო 46, ანუ 95,8%, გოგონა 2, ანუ 4,2%. არ მუშაობდა და არ სწავლობდა 34 არასრულწლოვანი, ანუ სულ მსჯავრდებული არასრულწლოვნების 70,8%, ჯგუფში დანაშაული ჩადენილი აქვს 11 პირს, ანუ 22,9%-ს (იხ. დანართი ცხრილი №15).

2012 წლის თებერვალში სულ მსჯავრდებული 48 არასრულწლოვანიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 12 პირს, ანუ 25,0%-ს, პირობითი მსჯავრი 33 პირს, ანუ 68,8%-ს, ჯარიმა 3 პირს, ანუ 6,3%-ს.

**არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელების მიხედვით**




მსჯავრდებული 48 არასრულწლოვანი პირი დანაშაულის სახეების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

- ქურდობისათვის მსჯავრი დაედო 33 პირს, ანუ 68,8%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 8 პირს, ანუ 24,2%;

- ხულიგნობისა და ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის 2-2 პირს, ანუ 4,2%, მათ შორის ხულიგნობისათვის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 1 პირს, ანუ 50,0%;

- განზრახ მკვლელობისა და ძარცვისათვის თითო-თითო პირს, ანუ 2,1%-ს, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 100,0%-ს (იხ. დანართი ცხრილები №16,17).

რეგიონების მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა 15 არასრულწლოვანი, ანუ 31,3%;

- იმერეთის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 9 არასრულწლოვანი, ანუ 18,8%;

- კახეთის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 8 არასრულწლოვანი, ანუ 16,7%;

- ქვემო ქართლის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 5 არასრულწლოვანი, ანუ 10,4% და სხვა (იხ. დანართი ცხრილი №18).

## *ნაწილი 10 - დანაშაული და შეფარდებული სასჯელები*

### 10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით

2012 წლის თებერვალში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა 1055 საქმე 1279 პირის მიმართ (მათ შორის 12 პირის მიერ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 1 პირის მიმართ გამოტანილია განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად). მსჯავრდებული 1266 პირის მიერ ჩადენილი იყო 1597 დანაშაული, ხოლო დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნულ იქნა 1721 სასჯელი (იხ. დანართი ცხრილი №19).

2012 წლის თებერვალში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული შეადგენს 11,6%-ს, მძიმე დანაშაული - 29,75,%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაული - 58,7%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული 1721 სასჯელიდან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი შეადგენს 11,3%-ს, მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 31,4%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 57,2%-ს.

**მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშულებისა და ჩადენილი დანაშაულებისათვის**

**დანიშნული სასჯელების სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით**




განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 57,4%-ს, პირობითი მსჯავრის - 41,5%-ს, ჯარიმის - 1,0%-ს.

მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 57,9%-ს, პირობითი მსჯავრის - 40,3%-ს, ჯარიმის - 1,1%-ს.

ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 29,9%-ს, პირობითი მსჯავრის - 50,4%-ს, ჯარიმის - 12,6%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 7,1%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების

სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით




2012 წლის თებერვალში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილია 130 ძალადობრივი დანაშაული, რაც სულ ჩადენილ დანაშაულში შეადგენს 8,1%-ს, აღნიშნული დანაშაულებისათვის დანიშნულია 137 სასჯელი, ანუ 8,0%. პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ძალადობრივი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 61,3%-ს, პირობითი მსჯავრის 15,3%-ს, ჯარიმის - 16,1%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 7,3%-ს.

ძალადობრივი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელები




თებერვალში  მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან კორუფციული დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 3,8%-ს, დანიშნული სასჯელების ხვედრითი წილი - 3,5%-ს (იხ. დანართი ცხრილი №20).

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის: საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 32,7% (523), შემდეგ მოდის ნარკოტიკულ დანაშაულზე - 17,7% (283), მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 13,3% (212), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ დანაშაულზე - 9,9% (158), სატრანსპორტო დანაშაულზე -6,8% (109) და  სხვა.

## მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების სტრუქტურა




2012 წლის თებერვალში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული 1721 სასჯელიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეადგენს 41,8%-ს (720);

- პირობითი მსჯავრი 46,2%-ს (795);

- ჯარიმა 7,7%-ს (132);

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 4,3%-ს (74).

**დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელების სტრუქტურა**




## 10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

2012 წლის თებერვალში პირველი ინსტანციის სასამართლოებში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის შეფარდებული სასჯელებიდან 881, ანუ 51,2% მოდის თბილისის საქალაქო სასამართლოზე, აჭარის სასამართლოებზე - 157, ანუ 9,1% იმერეთის სასამართლოებზე - 132, ანუ 7,7%, კახეთის სასამართლოებზე - 117, ანუ 6,8%, ქვემო ქართლის სასამართლოებზე - 115, ანუ 6,7% და სხვა (იხ. დანართი ცხრილი №21).

ჩადენილი დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების განაწილება რეგიონების მიხედვით



ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების

სტრუქტურა რეგიონალურ ჭრილში (პროცენტობით)




თითოეული დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელის ღონისძიებებში თავისუფლების აღკვეთის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: აჭარაზე - 70,1%, გურიაზე - 61,3%, მცხეთა-მთიანეთზე - 55,3%, შიდა ქართლზე - 52,8%, თბილისზე - 40,7% და ა.შ.

პირობითი მსჯავრის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: რაჭა-ლეჩხუმზე - 100,0%, სამცხე-ჯავახეთზე -71,7%, კახეთზე - 62,4%, იმერეთზე - 62,1%, ქვემო ქართლზე - 60,9% და ა.შ.

ჯარიმის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: სამეგრელო-ზემო სვანეთი - 15,6%, შიდა ქართლი - 12,4%, სამცხე-ჯავახეთი - 9,4%, კახეთი - 8,5% აჭარა - 7,6% და სხვა.

## თავი IV. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სტატისტიკა

### ნაწილი 11 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

#### 11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა[2] რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში

**ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შედარება საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან სქესობრივ ჭრილში**

2012 წლის თებერვლის მდგომარეობით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული იყო სულ 24 011 პირი. მათგან 22 793 კაცი და 1 218 ქალია.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს (შემდგომში - "სამინისტროს") სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიულ და სტატისტიკურ-ანალიტიკურ სამმართველოში ყოველთვიურად ხდება ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პროცენტული შედარება საქართველოს მოსახლეობის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2011 წლის 1 იანვრის მონაცემებით დაფიქსირებულ რაოდენობასთან. ქვეყნის მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობასთან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმდინარე წლის თებერვლის მონაცემების შედარების შედეგად პატიმრების საერთო რიცხვმა (24 011) ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის (4 469 200) 0.54% შეადგინა. მამრობითი სქესის პატიმრები (22 793) ქვეყნის მამრობითი სქესის მოსახლეობის (2 127 300) 1.07%-ს, ხოლო მდედრობითი სქესის პატიმრები (1 218) ქვეყნის მდედრობითი სქესის მოსახლეობის (2 341 900) 0.05%-ს შეადგენენ (იხ. დანართი, ცხრილი №22).

**ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში**

სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სრულწლოვან კაცებზე მოდის (22 625). ქვემოთ მოცემულია ყველა დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ამსახველი დიაგრამები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში, სადაც უფრო დეტალურად არის ნაჩვენები სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული წილის ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №23, №24):

[2] წინამდებარე ანგარიშში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის (თ/ა) დაწესებულებებში განთავსებული ყველა პირი აღინიშნება ტერმინით "ბრალდებულები და მსჯავრდებულები". იგივე კატეგორია შეიძლება აღინიშნებოდეს ასევე საერთო აღმნიშვნელი ტერმინით - "პატიმრები".

**ბრალდებულები და მსჯავრდებულები ასაკობრივ ჭრილში**




როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ხანდაზმული ბრალდებულები და მსჯავრდებულები საერთო რაოდენობის ყველაზე ნაკლები პროცენტული მაჩვენებლებით ხასიათდებიან.

**ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში**




## 11.2 ბრალდებულები[3]

2012 წლის თებერვლის თვეში 7 პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებაში სულ 1 396 ბრალდებული ირიცხებოდა. საერთო შეფარდებით პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 5.8%-ს ბრალდებულები შეადგენენ. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №25):

[3] წინამდებარე ანგარიშში ტერმინი "ბრალდებულები" აღნიშნავს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის (თ/ა) დაწესებულებებში განთავსებულ არამსჯავრდებულ პირებს.

**ბრალდებულები**




როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი ბრალდებული 2012 წლის თებერვლისთვის №8 დაწესებულებაში ირიცხებოდა (კატეგორიაში "სხვა" ერთიანდება №6 და №18 დაწესებულებები).

### 11.3 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2012 წლის თებერვლის მონაცემებით საქართველოს სასჯელაღსრულებით სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი პატიმრების რიცხვი (170) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.7%-ს უტოლდება. მათგან 30 ბრალდებულია. არასრულწლოვანი ბრალდებულების რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 2.1%-ს, ხოლო არასრულწლოვანი პატიმრების საერთო რაოდენობის 17.6%-ს შეადგენს. მათგან ყველა მამრობითი სქესისაა. ქვემოთ მოცემულია დაწესებულებებში მათი განაწილების ამსახველი სურათი (იხ. დანართი, ცხრილი №26):

**არასრულწლოვანი ბრალდებულები**




140 არასრულწლოვანი მსჯავრდებულიდან 2 ქალია. არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რიცხვი მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.6%-ს, ხოლო არასრულწლოვანი პატიმრების საერთო რაოდენობის

82.4 %-ს შეადგენს. მათი საერთო რაოდენობის პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში განაწილების მაჩვენებელი შემდეგია (იხ. დანართი, ცხრილი №26):




## 11.4 მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულის კატეგორიის მიხედვით

2012 წლის თებერვლის თვეში პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობიდან (22 615) უმეტესობას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები შეადგენდნენ. დიდი ხვედრითი წილი აქვს მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულების რაოდენობასაც (იხ. დანართი, ცხრილი №27).



### 11.5 მსჯავრდებულთა რაოდენობა დაწესებულების ტიპის მიხედვით

2012 წლის თებერვალში მსჯავრდებულთა რიცხვი, რომელთაც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა ტიპები[4] განესაზღვრათ 22 003-ს, ხოლო დაწესებულების განსაზღვრის მოლოდინში მყოფ მსჯავრდებულთა რაოდენობა 612-ს შეადგენდა. მათი რაოდენობა შეფარდებული დაწესებულების ტიპის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):

**მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით**




### 11.6 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით

”საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შესახებ” საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №184 ბრძანებით დადგენილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობრივი ლიმიტი თითოეული დაწესებულებისთვის. დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რეალური რაოდენობის შედარება ლიმიტირებულ რაოდენობასთან ხდება თითოეულ დაწესებულებასთან მიმართებაში.

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემას დაქვემდებარებულ 19 დაწესებულებაში არსებული საპატიმრო ადგილების საერთო ლიმიტირებული რაოდენობა 24 650-ს შეადგენს. 2012 წლის თებერვლის მონაცემებით ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (24 011) ამ ზღვარზე 639 ერთეულით (2.6%-ით) ნაკლებია. ამ მხრივ სხვადასხვა დაწესებულებაში განსხვავებული მდგომარეობაა. ქვემოთ მოცემულ ორ გრაფიკზე აღნიშნულია დაწესებულებების ჩამონათვალი ლიმიტებით, სადაც კლების ან მატების ნიშნით წამძღვარებული პროცენტული მაჩვენებლის ქვემოთ ფრჩხილებში მოცემულია პროცენტული რაოდენობის შესაბამისი ციფრი. ამდენად თითოეულ დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ამჟამინდელი რაოდენობის

[4] თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ერთიანდება შემდეგი ტიპის დაწესებულებები: ნახევრად ღია, დახურული, შერეული და არასრულწლოვანთა სპეციალური.

დადგენილ ლიმიტზე სიჭარბე ან ნაკლებობა გრაფიკზე გამოსახულია როგორც რაოდენობრივი, ასევე პროცენტული მაჩვენებლის ფორმით (იხ. დანართი, ცხრილი №29):

**ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით მეტობისა და ნაკლებობის მაჩვენებლებით**







როგორც მოცემული გრაფიკებიდან ჩანს, 9 დაწესებულებაში 2012 წლის თებერვალში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დადგენილ ლიმიტთან შედარებით ჭარბი რაოდენობა იყო განთავსებული. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დადგენილზე ნაკლები რაოდენობა 8 დაწესებულებაში დაფიქსირდა. პროცენტული სიჭარბის მაჩვენებლით პირველ ადგილზე №1 დაწესებულებაა, სიჭარბით ასევე გამოირჩევა №18 და №19 დაწესებულებები. დადგენილთან შედარებით ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ყველაზე ნაკლები რაოდენობა პროცენტულად №7 დაწესებულებაშია.

## 11.7 უცხოელი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

უცხოელი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის დათვლა დაწესებულებების მიხედვით მიმდინარეობს.

საქართველოს სასჯელაღსრულებით სისტემაში მოთავსებული 32 უცხო ქვეყნის მოქალაქეების საერთო რიცხვი მიმდინარე წლის თებერვლის დასასრულს 345 (პატიმართა საერთო რაოდენობის 1.4%) იყო, მათ შორის 4 ორმაგი მოქალაქეობის (1 - უკრაინა-საქართველო, 1 - რუსეთი-საქართველო, 1 ირანი-საქართველო, 1 - კამერუნი-კონგო). ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია უცხოელ მოქალაქეთა საერთო რაოდენობის პროცენტული შემადგენლობა (იხ. დანართი, ცხრილი №30):

**უცხოელი ბრალდებულები და მსჯავრდებულები**




როგორც ამ დიაგრამიდან ჩანს უცხოელთა უმრავლესობას ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მოქალაქეები შეადგენენ. უცხოელთაგან უდიდესი ნაწილი აზერბაიჯანელებზე, რუსებზე, თურქებზე, სომხებსა და ბანგლადეშელებზე მოდის. შედარებით ნაკლები მაჩვენებლებით ხასიათდებიან ისრაელი, უკრაინა და დანარჩენი ქვეყნები.

## 11.8 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა

2012 წლის თებერვალში საქართველოს პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებიდან 777 ბრალდებული და მსჯავრდებული გათავისუფლდა. ქვემოთ ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდისთვის გათავისუფლებულ პირთა საერთო რაოდენობა (იხ. დანართი, ცხრილი №31):




როგორც ვხედავთ, გათავისუფლებულთა უდიდესი წილი კალენდარულ გათავისუფლებაზე მოდის. შედარებით დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება პირობითი მსჯავრით გათავისუფლებულები. ასევე დაბალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი გარდაცვალება და განაჩენის აღსრულების გადავადება (ავადმყოფობით). ხოლო სხვა სახით გათავისუფლებულთა (გირაო, საქმის შეწყვეტა, ექსტრადიცია და სხვა) საერთო რაოდენობა (174) მთლიანი რაოდენობის 22.4%-ს შეადგენს.

### 11.9 რესოციალიზაცია[5]

რესოციალიზაციის მიმდინარეობის მაჩვენებელი თითოეული დაწესებულებისთვის ღონისძიებათა ტიპების მიხედვით ითვლება. ამ მიზნით ხდება თითოეულ პროგრამაში ჩართული პატიმრების საერთო რაოდენობის აღრიცხვა და მათი დაყოფა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში.

2012 წლის თებერვალში პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში რესოციალიზაციის პროგრამები სულ 562 პირისთვის მოქმედებდა. ყველაზე დიდი ადგილი აღნიშნულ პროგრამებში ქვემოთ მოცემული მაჩვენებლის მიხედვით პროფესიული განათლებისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამებს უკავია, რომლებიც საანგარიშო პერიოდში შესაბამისად 202 და 146 პირისთვის მიმდინარეობდა.

დიაგრამაზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართული პატიმრების რაოდენობის პროცენტული შედარება (იხ. დანართი, ცხრილი №32):

[5] რესოციალიზაციის მონაცემები მოიცავს როგორც მიმდინარე (475), ასევე საანგარიშო თვეში დასრულებულ პროგრამებს (87).

**რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული პატიმრები**




ამ პროგრამებში ჩართულთა ასაკობრივი მაჩვენებლის მიხედვით სრულწლოვან მამაკაცთა კონტინგენტი ა/წლის თებერვლის თვეში რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული პირების საერთო რაოდენობის უმრავლესობას შეადგენს (იხ. დანართი, ცხრილი №32).

**რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული პატიმრები**
**სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში**




რაც შეეხება გარესამყაროსთან ურთიერთობას, საანგარიშო თვის განმავლობაში პატიმრებმა პაემნის უფლებით სულ 11 884-ჯერ ისარგებლეს. მათგან 11 331 პაემანი ხანმოკლე, 477 - ხანგრძლივი, ხოლო 76 - ვიდეოპაემანი იყო.

## 11.10 დისციპლინური ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში დისციპლინური ღონისძიება პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში 396-ჯერ იქნა გამოყენებული, მათგან 124-ჯერ საყვედურის გამოცხადებით და 272-ჯერ სამარტოო საკანში მოთავსებით (იხ. დანართი, ცხრილი №32).

## 11.11 სასჯელაღსრულების სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანილ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა

2012 წლის თებერვალში სად-ის სასჯელაღსრულებით სისტემაში დაწესებულებებს შორის სულ 897 პირის გადაადგილება დაფიქსირდა. მათგან ყველაზე დიდი წილი გადაყვანილ იქნა სხვა პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში (იხ. დანართი, ცხრილი №33).

**გადაყვანილი ბრალდებულები და მსჯავრდებულები**




სად-ის სისტემის გარეთ საერთო პროფილის საავადმყოფოებში გადაყვანილ პირთა რაოდენობამ სულ 117 შეადგინა (იხ. დანართი, ცხრილი №33).

## 11.12 კრიმინოგენული მდგომარეობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში

დანაშაულებრივი ფაქტების ჩადენის მაჩვენებელი სასჯელაღსრულების სისტემაში გამოითვლება თითოეული დაწესებულებისთვის სსსკ მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების მიხედვით, რაც დაწესებულებებში კრიმინოგენული ვითარების ცალ-ცალკე ჩვენების გარდა საერთო ვითარების ასახვის საშუალებასაც იძლევა. გარდა ამისა, კრიმინოგენული სიტუაციის აღმრიცხავი მონაცემთა ცხრილები დანაშაულებრივი ფაქტებისა და მათ ჩამდენ პირთა ასაკის ურთიერთმიმართებასაც აჩვენებს.

სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს სასჯელაღსრულებით სისტემაში მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტების რაოდენობამ სისხლის სამართლის კოდექსის 4 მუხლით გათვალისწინებული 38 ერთეული ქმედება შეადგინა. მათგან ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სსკ 118-ე მუხლით ჩადენილ ქმედებებზე (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) მოდის. თებერვალში ეს მაჩვენებელი 24 ერთეულს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია თებერვლის თვეში გამოძიების დაწყების საფუძვლად ქცეული დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობა და მათი ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №34):

**დანაშაულებრივი ფაქტები, რომლებზეც დაიწყო გამოძიება**




**2012 წლის თებერვლის თვეში ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები**
**დაწესებულებებსა და დაწესებულებების გარეთ პირთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით**

2012 წლის თებერვალში გამოძიება 11 სხვადასხვა დაწესებულებაში მომხდარ ფაქტებზე დაიწყო. შემდეგი გრაფიკი თითოეულ დაწესებულებაში ჩადენილი ფაქტების პროცენტულ მაჩვენებელს ასახავს. როგორც ვხედავთ, თებერვალში ჩადენილი 38 ქმედებიდან ყველაზე მეტი - 9 ერთეულის ოდენობით №18 დაწესებულებაში იქნა ჩადენილი, ყველაზე ცოტა - 1 ერთეული ჩადენილ იქნა №2 დაწესებულებაში (იხ. დანართი, ცხრილი №34).

**ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები**




საანგარიშო პერიოდში გამოძიება ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტზე სულ 36 პირის მიმართ წარიმართა[6]. გამოძიების ობიექტი ქმედების ჩამდენ პირთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას 35-45 წლამდე ასაკის

[6] სსკ 378¹-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაზე (2 საქმე) გამოძიება დაწყებულია ფაქტებზე (პირების გარეშე).

პირები შეადგენდნენ. გამოსაძიებელი ფაქტების ყველაზე ნაკლები რაოდენობა 18-25 წლამდე და 45 წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფებზე მოდის. ქვემოთ ნაჩვენებ დიაგრამაზე ასახულია 2012 წლის თებერვალში ჩადენილი ქმედებებისა და ჩამდენ პირთა ასაკობრივი კატეგორიების ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №35):

**პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც დაწყებულია გამოძიება**




**11.13 სამედიცინო მდგომარეობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში**

**ა) დაავადებები**

სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მონაცემებით 2012 წლის თებერვალში ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების შედეგად გამოვლენილ სხვადასხვა სახეობის დაავადებათა საერთო რაოდენობა 2 803-ს გაუტოლდა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია დაავადებულთა ხვედრითი წილი კონკრეტული დაავადების მიხედვით. სამედიცინო მდგომარეობის ამსახველი მონაცემთა ცხრილები ასევე იძლევა დაავადებების სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში გავრცელების რაოდენობრივი მასშტაბის დადგენის საშუალებას.

მოცემული დიაგრამის მიხედვით სასჯელაღსრულებით სისტემაში გავრცელებული დაავადებებიდან ყველაზე დიდი წილი სტომატოლოგიურ დაავადებებზე მოდის. ასევე გავრცელებულია სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი სისტემებისა და გრძნობათა ორგანოების დაავადებები (იხ. დანართი, ცხრილი №36).

**ავადობა სასჯელაღსრულების სისტემაში**




დაავადებული პირების კატეგორიაში ყველაზე მეტი მაჩვენებლით სრულწლოვანი კაცები ხასიათდებიან. მათი სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები ქვემოთ დიაგრამაზეა წარმოდგენილი (იხ. დანართი, ცხრილი №37):

**დაავადებები ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა**
**სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში**




შემდეგი დიაგრამა განსაზღვრავს სრულწლოვანი ქალებისა და კაცების ასაკობრივი კატეგორიების ხვედრით წილს სრულწლოვან დაავადებულთა საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №37):

**სრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაავადებები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში**




მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ ა/წლის თებერვლის თვეში დაავადებათა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კაცებში 25-დან 35 წლამდე, ხოლო ქალებში 45 წლის ზემოთ ასაკობრივ კატეგორიებში ვლინდება.

შემდეგი ორი დიაგრამა აჩვენებს დაავადებათა კატეგორიების გავრცელების მასშტაბს ცალ-ცალკე მამრობითი და მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთათვის (იხ. დანართი, ცხრილი №37):

**დავაადებები სრულწლოვან კაცებში**



**დაავადებები სრულწლოვან ქალებში**




სტომატოლოგიური დაავადებების შემდეგ, რაც ყველა კატეგორიაში ყველაზე გავრცელებულ დაავადებას წარმოადგენს, მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში გულ-სისხლძარღვთა და შარდ-სასქესო სისტემების დაავადებები ჭარბობს, თუმცა მათი ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სტომატოლოგიური დაავადებების მაჩვენებელს. ზრდასრულ მამაკაცებში სტომატოლოგიურის შემდეგ მაღალია სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი სისტემების დაავადებების მაჩვენებელი.

არასრულწლოვნებში დაავადებების რაოდენობა დაავადებათა მთლიანი რაოდენობის 2.7%-ს შეადგენს. მათგან 4 მდედრობითი სქესისაა. მომდევნო დიაგრამაზე აღნიშნულია დაავადებათა მაჩვენებელი არასრულწლოვან პატიმრებში დაავადების კატეგორიის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №37):

**დაავადებები არასრულწლოვან პატიმრებში**




როგორც ვხედავთ 2012 წლის თებერვალში არასრულწლოვან პატიმრებში ყველაზე მეტად სტომატოლოგიური, გრძნობათა ორგანოების, სასუნთქი სისტემისა და  კანისა და ვენერიული დაავადებები იყო გავრცელებული.

**ბ) მკურნალობა**

პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში მკურნალობასთან დაკავშირებული მონაცემები ამ ეტაპზე წლიურ ფორმაში ყოველთვიურად გაწეული სამედიცინო დახმარების ტიპის მიხედვით ითვლება.

ამბულატორიული ვიზიტებისა და მკურნალობის გარდა, რომლითაც მიმდინარე წლის თებერვალში ბრალდებულებმა და მსჯავრდებულებმა 29 622-ჯერ ისარგებლეს, სასჯელაღსრულებით სისტემაში 1 307-ჯერ იქნა გაწეული პირველადი სამედიცინო შემოწმება, ხოლო 91-ჯერ სასწრაფო და გეგმიური ქირურგიული დახმარება.

ქვემოთ ნაჩვენები დიაგრამა პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში განთავსებულ პირთათვის 2012 წლის თებერვალში გაწეულ სამედიცინო დახმარებას მისი ტიპების მიხედვით წარმოგვიდგენს (იხ. დანართი, ცხრილი №38):




ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია სტაციონარული მკურნალობის მიმდინარეობის მაჩვენებელი სად-ის სისტემისა და სამოქალაქო სექტორის სპეციალიზირებულ სტაციონარებში, საიდანაც ჩანს, რომ სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფ პირთა (450) უმეტესობა (264) სად-ის სამკურნალო დაწესებულებებშია განთავსებული (იხ. დანართი, ცხრილი №38):




შემდეგი დიაგრამა სტომატოლოგიური მკურნალობის მიმდინარეობისას გაწეული სხვადასხვა ტიპის დახმარების მაჩვენებელს ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №38):




რაც შეეხება სამედიცინო გამოკვლევებს, თებერვალში ჩატარდა 4 ტიპის გამოკვლევა "აივ" ინფექცია/შიდსზე, ტუბერკულოზზე, ჰეპატიტებსა და ვენერიულ დაავადებებზე, მათგან ყველაზე დიდი მაჩვენებელი რაოდენობით - 11 035 ტუბერკულოზის რისკ-ჯგუფების გამოსავლენად წარმოებულ მასიურ სკრინინგზე მოდის (იხ. დანართი, ცხრილი №38).

**ჩატარებული გამოკვლევები**




2012 წლის თებერვლის თვეში დაფიქსირდა სამკურნალო სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული 185 მსჯავრდებული. მათგან უმრავლესობა - 101 პირი ტუბერკულოზის სამკურნალო ''DOTS'' და ''DOTS''+ პროგრამებშია ჩართული, 78 - ''აივ'' ინფექცია/შიდსის ანტირეტროვირუსულ პროგრამაში, 4 - ''მეტადონით'' დეტოქსიკაციის პროგრამაში, 2 - შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში (ინსულინის ჰორმონით უზრუნველყოფა). ქვემოთ მოცემული დიაგრამა ამ მდგომარეობას ნათლად ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №38):

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულთა რაოდენობა**




ამავე თვეში ანტიტუბერკულოზური მკურნალობის კურსი დაასრულა სულ 93-მა მსჯავრდებულმა.

**გ) გარდაცვალება**

პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში გარდაცვალების ფაქტები აღირიცხება გარდაცვალების ადგილის მიხედვით, რაზედაც დგება ყოველთვიური ფორმა. 2012 წლის თებერვალში პატიმრობისა და თ/ა

დაწესებულებებში 10 პირი გარდაიცვალა. მათგან 9 - №18 დაწესებულებაში, 1 - №19 დაწესებულებაში (იხ. დანართი, ცხრილი №39).

## ნაწილი 12 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო

### 12.1 პრობაციონერთა რაოდენობა[7]

პრობაციონერთა რაოდენობის სტატისტიკური მონაცემები რეგიონულად როგორც სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში, ასევე შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ითვლება. 2012 წლის თებერვლის მონაცემებით საქართველოში სულ 39 509 პრობაციონერი დაფიქსირდა. მათი საერთო რაოდენობით რეგიონებს შორის პირველ ადგილზეა თბილისი, შემდეგ ადგილებზეა იმერეთი და ქვემო ქართლი. პრობაციონერთა ყველაზე მცირე რაოდენობა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონშია (იხ. დანართი, ცხრილი №40).

**პრობაციონერები რეგიონებში**




შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ქვეყანაში პრობაციონერთა ყველაზე მეტი რაოდენობა პირობით მსჯავრდებულ პირებზე მოდის, ხოლო მცირე მაჩვენებლებით ხასიათდება რაოდენობა იმ პირებისა, რომელთაც შეფარდებული აქვთ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (როგორც ძირითადი სასჯელი), საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა (როგორც ძირითადი სასჯელი), გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა და სასჯელის მოხდის გადავადება, რომლებიც დიაგრამაზე გაერთიანებულია კატეგორიაში "სხვა" (იხ. დანართი, ცხრილი №40).

[7] პრობაციის სტატისტიკის ნაწილში არაპატიმარი მსჯავრდებულები და პრობაციის ღონისძიებას დაქვემდებარებული პირები აღინიშნებიან საერთო ტერმინით - "პრობაციონერები".

**პრობაციონერები შეფარდებული ღონისძიების მიხედვით**




როგორც დიაგრამიდან ჩანს პრობაციის ღონისძიებაშეფარდებულ პირთა (პირობით მსჯავრდებულები, სასჯელის მოხდისგან პვგ, სასჯელის მოხდაგადავადებული და თავისუფლების აღკვეთის შემდგომ საპრობაციო ვადადანიშნული პირები) რაოდენობა შეადგენს ზოგადად არაპატიმარ მსჯავრდებულთა და პრობაციონერთა მთლიანი რაოდენობის ძირითად მასას, რაც დაახლოებით 99.8%-ს უტოლდება.

მთელი ქვეყნის მასშტაბით პრობაციონერთა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში უმეტესობა სრულწლოვანი კაცებით არის წარმოდგენილი, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №41).

**პრობაციონერთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები**




დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით პრობაციონერთა რაოდენობას შემდეგი დიაგრამები ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №42):

**პრობაციონერები დანაშაულის კატეგორიის მიხედვით**




**პრობაციონერები დანაშაულის სახეობის მიხედვით**




2012 წლის თებერვლის მონაცემებით არასრულწლოვანი პრობაციონერები (632) პრობაციონერთა საერთო რაოდენობის 1.6%-ს შეადგენენ. არასრულწლოვანი პრობაციონერების 4.9% (31) ქალია. მათი საერთო რაოდენობის კლასიფიცირება დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს (იხ. დანართი, ცხრილი №43):

**არასრულწლოვანი პრობაციონერები დანაშაულის კატეგორიის მიხედვით**




**არასრულწლოვანი პრობაციონერები დანაშაულის სახეობის მიხედვით**




არასაპატიმრო სასჯელის შეფარდება ხდება როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის სახით. არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების რაოდენობა (2 098) პრობაციონერთა საერთო რიცხვის 5.3%-ს შეადგენს. არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების 8.2% (172) ქალია. თებერვალში ასეთ პრობაციონერებს ძირითადად თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლებაჩამორთმეული და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომადანიშნული პირები წარმოადგენდნენ. მხოლოდ ერთ პირს ჰქონდა შეფარდებული გამასწორებელი სამუშაო. საანგარიშო პერიოდში თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა სულ 1 891 (საერთო რაოდენობის 90.1%), ხოლო საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა სულ 206 (საერთო რაოდენობის 9.8%) პირს ჰქონდა შეფარდებული (იხ. დანართი, ცხრილი №44):







პრობაციის ღონისძიებაშეფარდებულ პირთა რაოდენობა სულ 39 426-ს აღწევს. მათი ხვედრითი წილი შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ამგვარია (იხ. დანართი, ცხრილი №40):

**პრობაციის ღონისძიების შეფარდების მაჩვენებელი**




2012 წლის თებერვალში საქართველოში 14 სხვადასხვა მოქალაქეობის 197 უცხოელი პრობაციონერი დაფიქსირდა, რაც პრობაციონერთა მთლიანი რაოდენობის 0.5%-ია. მოქალაქეობის მიხედვით მათი განაწილების მაჩვენებელი მოცემულია ქვემოთ (იხ. დანართი, ცხრილი №45):

**უცხოელი პრობაციონერები მოქალაქეობის მიხედვით**




### 12.2 პრობაციონერთა რაოდენობის მატება

2012 წლის თებერვლის თვეში სასამართლო გადაწყვეტილება არასაპატიმრო სასჯელისა და პრობაციის ღონისძიების შეფარდების შესახებ სულ 1 345 პირის მიმართ იქნა გამოტანილი. შემდეგ დიაგრამაზე ასახულია ზემოთ აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა როგორც რეგიონულად, ასევე შეფარდებული ღონისძიების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №46):







ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია მატების მაჩვენებელი 2012 წლის თებერვლის თვისთვის სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში (იხ. დანართი, ცხრილი №47):

**პრობაციონერების მატება სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში**




## 12.3 დასრულებული საქმეები

2012 წლის თებერვალში დასრულებული საქმეები (932) დასრულების საფუძვლის მიხედვით ასე ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №48):

**დასრულებული საქმეები**




დიაგრამაზე კატეგორიაში ”სხვა” ერთიანდება სასჯელის მთლიანად მოხდით, სასჯელის მოუხდელი ნაწილის ვადის გასვლითა და გადავადების ვადის გასვლით დასრულებული საქმეები, რომელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 16-ს (იხ. დანართი, ცხრილი №48).

დასრულებული საქმეების რაოდენობის მხრივ თბილისის შემდეგ მეორე ადგილი იმერეთის რეგიონს უკავია, ხოლო რაოდენობრივად ბოლო ადგილზე რაჭა-ლეჩხუმის რეგიონია 9 დასრულებული საქმით (იხ. დანართი, ცხრილი №48).

**დასრულებული საქმეები რეგიონულ ჭრილში**




დასრულებული საქმეების რაოდენობა პრობაციონერთა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ამგვარია (იხ. დანართი, ცხრილი №49):

**დასრულებული საქმეები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში**




**12.4 საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში**

2012 წლის თებერვლის მონაცემების მიხედვით ქვეყანაში 39 509 პრობაციონერის საქმე 125 პრობაციის ოფიცერზე ნაწილდება. საქმეების საშუალო რაოდენობით ერთ ოფიცერზე რეგიონებში თბილისი ლიდერობს, რიგით მეორე ადგილზეა აჭარის რეგიონი, რომელსაც ქვემო ქართლი და შიდა ქართლი ჩამორჩება. ყველაზე მცირე საშუალო მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დაფიქსირდა. მთლიანი ქვეყნის მასშტაბით საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე თებერვალში 316 იყო. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე საქმეების საშუალო რაოდენობის რეგიონული მაჩვენებელია ასახული (იხ. დანართი, ცხრილი №50):




## 12.5 პრობაციონერთა რესოციალიზაცია

2012 წლის თებერვლის თვეში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით განხორციელებული რესოციალიზაციის პროგრამები 4 რეგიონში 42 პრობაციონერისთვის მოქმედებდა. მათი უმრავლესობა მამაკაცი (22 სრულწლოვანი და 18 არასრულწლოვანი) იყო. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია პრობაციონერთა რესოციალიზაციის თებერვლის თვის სტატისტიკა რეგიონულ და სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში და პროგრამების ტიპების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №51, №52 და №53).



**პრობაციონერთა რესოციალიზაცია სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში**




**პრობაციონერთა რესოციალიზაცია პროგრამების ტიპების მიხედვით**